დანართი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის ანგარიში, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილება

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყო 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, რომელიც კანონის ფარგლებში დამტკიცდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

საანგარიშო წლის ბიუჯეტის პროექტის რედაქტირება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა 2023 წლის განმალობაში საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით უზრუნველყოფილი იქნა 9-ჯერ, რაც დამტკიცებულია საკრებულოს შესაბამისი დადგენილებებით.

მომზადდა ბიუჯეტის შემოსავლებისა და გადასახდელების კვარტალური გაწერა და წლის განმალობაში საკრებულოს განკარგულებაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად მიმდინარეობდა დაკორექტირება.

ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაციის შეკრება, გაანალიზება და შესაბამისი წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება ხორციელდებოდა პერიოდულად კვარტლის შესრულებიდან გამომდინარე.

წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების (ა(ა)იპ და შპს) მიერ გაწეული ხარჯების მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის და ეფექტიანობის შეფასება. საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შესატანად წინადადებების მომზადება და წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად მერიასა და საკრებულოში წარდგენა.

2023 წლის 1 მარტიდან დაიწყო მუშაობა, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.

საჭირო ინფორმაციის შეკრება და დამუშავება ფინანსთა სამინისტროს მიერ მიზნორბივი და კაპიტალური ტრანსფერების მოცულობათა შესაბამისად განხორციელდა მუნიციპალური პროგრამების, საფინანსო გაანგარიშებების, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

შედგენილი იქნა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად, პრიორიტეტების დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა, ასევე, შედგენილია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გზამკვლევი.

- 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი (პირველი წარდგენა) თანდართულ მასალებთან ერთად 2023 წლის 14 ნოემბერს წარდგენილი იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოში, პროექტი შენიშვნებით დაუბრუნდა მერს. საკრებულოს მიერ გამოთქმული

შენიშვნებით შესწორებული ბიუჯეტის პროექტი წარდგენილი იქნა 8 დეკემბერს და დამტკიცდა კანონით დადგენილ ვადაში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის

დეკემბრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

„ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 70-ე მუხლის შესაბამისად, 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი, თანხით 22 890.5 ათასი ლარის ოდენობით.

ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 22 515.5 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები - 20 304.8 ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლები - 2 091.7 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების კლება - 119.0 ათასი ლარი.

თორმეტ თვეში ბიუჯეტის მიმართ ცხრაჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 41586,3 ათასი ლარის ოდენობით.

საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრა -20606,0 ათასი ლარით.

- სხვა შემოსავლები განისაზღვრა - 2914,8 ათასი ლარით.
- არაფინანსური აქტივების კლება - 767,7 ათასი ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 11170,6 ათასი ლარით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 375,0 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 6163,3 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით, სტიქიის შდეგების სალიკვიდაციოდ სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -2760,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 720,8 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -230,2 ათასი ლარი.

საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (შემდგომში UNDP) პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის'' მუნიციპალიტეტს გამოეყო 161,3 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -660,0ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 მარტის N545 განკარგულებით საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით , 2022 წლის განსაზღვრული ღონისძიებებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 100,0 ათასი ლარი.

ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა 6127,2 ათ.ლარი .

შემოსულობების ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის წლიურმა შემოსავალმა შეადგინა 35641,9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 100,5 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 20560,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,8 %-ია,წლიური გეგმა 20606,0 ათასი ლარი მათ შორის: დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 17529,3 ათასი ლარი გეგმა შესრულდა- 99,8 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 1349,4 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 126,1%-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 1681,6 ათ.ლარი გეგმა შესრულდა -84,9 %-ით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩამორიცხულმა ტრანსფერის ოდენობამ შეადგინა -11051,6 ათასი ლარი.

სხვა (ადგილობრივი) შემოსავლებიდან მიღებულია 3191,7 ათასი ლარი, გეგმა 2914,8 ათასი ლარი, შესრულება (109,5%) კერძოდ: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებიდან - 305,3

ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი -1032,2 ათასი ლარი, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია - 576,9 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 202,1 ათასი ლარი, ბანკიდან მიღებული დეპოზიტი - 467,4 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 14,0 ათ.ლარი, ტრანსფერი, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 464,4 ათ.ლარი და სხვა შემოსავლები - 129,4 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალია - 109,2 ათ.ლარი, კერძოდ შემოსავალი ძირითადი ქონების გაყიდვიდან - 26,2 ათ.ლარი და შემოსავალი მიწის გაყიდვიდან - 812,1 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 109,2%-ით.

ხოლო, რაც შეეხება 2023 წლის შემოსულობების შესრულების შედარებას 2022 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტთან (34175,6 ათასი ლარი), შემოსულია 1466,3 ათასი ლარით მეტი.

შემოსავლების შესრულების მაჩვენებელი სახეობების მიხედვით შემდეგია:

2023 წლის წლიური შემოსულობები ათას ლარებში:

N	**დასახელება**	**გეგმა**	**ფაქტი**	**შესრულების %**
1	შემოსავლები სულ	**35459,1**	**35641,9**	**100,5**
2	საგადასახადო შემოსავლები	20606	20560,3	99,8
3	გრანტები	11170,6	11051,6	98,9
4	სპეციალური ტრანსფერი			
5	სხვა შემოსავლები	2914,8	3191,7	109,5

6	არაფინანსური აქტივები	**767,7**	**838,3**	**109,2**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა - 38124,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 91,7%-ია (წლიური გეგმა - 41586,3 ათასი ლარი).

ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა (მუხლობრივ ჭრილში წლიურ გეგმასთან მიმართებით, ათას ლარებში):

N	**დასახელება**	**გეგმა წლიური**	**ფაქტი წლიური**	**%**
1	**ხარჯები**	**41586,3**	**38124,0**	**91,7**
2	შრომის ანაზღაურება	3758,4	3642,2	96,9
3	საქონელი და მომსახურება	3362,5	3036,8	90,3
4	სუბსიდია	10981,1	10851,6	98,8
5	სოციალური უზრუნველყოფა	2146,3	2130,3	99,3
6	სხვა ხარჯი	2730,6	2464,7	90,3
7	გრანტი	81,0	27,9	34,5
8	პროცენტი	26,6	25,6	96,3

9	არაფინანსური აქტივი	18429,7	15874,8	86,1
10	ვალდებულებების კლება	70,1	70,1	100,0
	სულ ჯამი	37124,4	32095,5	86,5

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის წლიურმა ხარჯებმა დარგების მიხედვით შეადგინა:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი შეადგენს

- 5190,0 ათას ლარს.

1.2 მათ შორის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების

ხელშეწყობის ხარჯი - 238,6 ათასი ლარი.

2. ეკონომიკის განვითარება - 10411,0 ათასი ლარი. მათ შორის:

2. 1 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა

ღონისძიებების დაფინანსება - 9601,7 ათასი ლარი.

2.2. საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის მომზადება - 7,8 ათასი ლარი.

2.3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - 800,0 ათასი ლარი.

2.4.სოფლის მეურნეობის განვითარება - 1,5 ათასი ლარი.

3 . დასუფთავება და გარემოს დაცვა სულ - 2982,2 ათასი ლარი. მათ შორის:

3.1. დასუფთავება - 408,9 ათასი ლარი.

3. 2. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება - 670,0 ათასი ლარი.

3.3. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება - 1903,3 ათასი ლარი.

4. საბინაო კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია სულ - 4031,4 ათასი ლარი. მათ შორის:

4.1 ბინათმშენებლობა - 2153,2 ათასი ლარი.

4.2 წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 127,7 ათასი ლარი.

4.3 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 764,4 ათასი ლარი.

4.4. სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები - 982,8 ათასი ლარი.

4.5. ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 3,3 ათასი ლარი.

5 . განათლების დარგით გახარჯულია სულ- 6332,2 ათასი ლარი, აქედან:

5.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სუბსიდირებაზე - 3697,7 ათასი ლარი.

5.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტირება) – 1339,5 ათასი ლარი.

5.3 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა - 990,1 ათასი ლარი.

5.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი -304,9 ათასი ლარი.

6. კულტურა , რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 6344,0 ათასი ლარი, აქედან:

6.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა რეკონსტრუქცია - 2308,2 ათასი ლარი.

6.2. სპორტული სკოლები - 1997,5 ათასი ლარი.

6.3. კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 1377,6 ათასი ლარი

6.4 ახალგაზრდული ორგანიზაციების,კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება - 187,3 ათასი ლარი.

6.5. საინფორმაციო მომსახურება - 172,9 ათასი ლარი.

6.6. ხონი სამტრედიის ეპარქია - 265,0 ათასი ლარი.

6.7. კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა - 35,5 ათასი ლარი.

7. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - სულ - 2833,2 ათასი ლარი, მათ შორის:

7.1. ჯანდაცვის პროგრამები - 154,7 ათასი ლარი.

7.2 სოციალური პროგრამები - 2678,5 ათასი ლარი.

2023 წლის შესყიდვების განყოფილების ანგარიში

2023 წლის 03 იანვრიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიში

2023 წლის 04 იანვრიდან გაფორმებულია **334 ხელშეკრულება**,
2024 გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება შეადგენს **20 515 364 ლარს**.
მათ შორის:

1. გამარტივებული შესყიდვით გაფორმებულია 201 ხელშეკრულება, ღირებულებით - 3 736 699,80 ლარი, კერძოდ:

- 130 ხელშეკრულება გაფორმდა „მონეტარული ზღვრის“ დაცვით;
- 22 ხელშეკრულება გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით „გადაუდებელი აუცილებლობიდან“ გამომდინარე;
- 7 ხელშეკრულება გაფორმდა „ექსკლუზიური უფლებამოსილების“ ფარგლებში;
- 4 ხელშეკრულება გაფორმდა „ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების“ ფარგლებში;
- 1 ხელშეკრულება გაფორმდა „განსაზღვრული წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალებების“ ფარგლებში;
- 1 ხელშეკრულება გაფორმდა წარმომადგენლობითი ხარჯის ფარგლებში;
- 4 ხელშეკრულება გაფორმდა კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევის საფუძვლით;
- 32 ხელშეკრულება გაფორმდა „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების“ საფუძვლით, რომლებიც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამას და ინტერნეტმომსახურების შესყიდვას.

2.კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმებულია 31 ხელშეკრულება, ღირებულებით - 2 350 494. 20 ლარი;

3. ელექტრონული ტენდერით 102 ხელშეკრულება, ღირებულებით - 13 097 112 ლარი.

შესყიდვების განყოფილების მიერ სულ გამოცხადებულია **146 ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე, თანხით 27 088 255 ლ.**

- შეწყვეტილია **3 ტენდერი;**
- არ შედგა **20 ტენდერი**;
- უარყოფითი შედეგით დასრულდა **18 ტენდერი;**
- ხელშეკრულება გაფორმდა **92 ელექტრონული ტენდერის** საფუძველზე;
- გამარჯვებული გამოვლენილია **0** ელექტრონულ ტენდერში;
- შერჩევა-შეფასებას გადის **7** ელექტრონული ტენდერი;
- გამოცხადებულია **6** ელექტრონული ტენდერი.

2023 წლის 04 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (დაკონტრაქტებული ტენდერის სატენდერო ღირებულება შეადგენს – 14 428 170 ლარს.), (დაკონტრაქტებული ტენდერის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს - 13 097 112 ლარი.), აქედან დაკონტრაქტებული ტენდერებიდან მიღბული ეკონომია შეადგენს 1 331 058 ლარს. აღნიშნული რიცხვი ცვალებადია და იცვლება ყოველი შერჩევა-შეფასების დასრულების შემდეგ.